К 43
1929

№ 1

ბრძოლა





საშობაოდ საჩუქრებს ურიგებენ ჰამბურგის რაიონში პოლიტ-პატიმართა ოჯახის წევრებს.



1 9
იანვარი

რემედასის

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების
ყოველთვიური ორგანო

2 9
ტფილისი

თვიდან-თვემდე

საზამთრო კამპანია საზღვარგარეთ.

ეხლა მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში „საერთაშორისო წითელი დახმარების“ ორგანიზაციები ატარებენ პოლიტ-პატიმართათვის დახმარების აღმოჩენის კამპანიებს. აგროვებენ მათთვის საზამთრო ტანისამოსებს, სათბურებს, ფულს და სხვადასხვა სურსათ-სანოვაგეს. ამით ისინი დახმარებას უწევენ როგორც თვით საპატიმროში მოქცეულებს, ისე მათ ოჯახებსა და თეთრი ტერორთან ბრძოლაში დაღუპულთა უმწეოდ დარჩენილ ცოლშვილს.

შვეიცარიისა და გერმანიის „წითელ დახმარების“ ორგანიზაციებმა უკვე გადმოგზავნეს ჩატარებული კამპანიის შედეგების შესახებ საკმაო ცნობები.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია გერმანიის სექციის მუშაობა, რომელიც გაცილებით უფრო ნაყოფიერად მოღვაწეობს. ყოველდღიურად, ქალაქის სხვადასხვა უბნებში, სახლებში, დაწესებულებებში, ქარხანა-ფაბრიკებში, თუ სხვა სახელოსნოებში დადიან წითელი დახმარების“ წევრები და აგროვებენ დახმარებას. პროლეტარიატი და მშრომელი გლეხკაცობა ძმური დახმარების ხელს უწვდის ციხეში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებს.

უქმე დღეებში, „წითელი დახმარების“ ორგანიზაციები შემოწირულებათა დაგროვების მიზნით აწყობენ მიტინგებსა და კონცერტებს.

ადგილობრივი კომპარტიის წევრი კომუნისტებიც აქტიურ მატერიალურ დახმარებას უწევენ პატიმრებს, რათა ამით ხელი შეუშალონ ბურჟუაზიას, რომელიც მოწადინებულია ფიზიკურად გაანადგუროს პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი ამხანაგები.

რემედასის აგიტ-ავტო, გამოშვებული ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის მიერ ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლის თავზე.

პოლიციელებმა დაიჭირეს ნიუ-იორკში იმპერიალისტური ომის საპროტესტოდ კომკავშირელების მიერ გამოტანილი პლაკატი, რომელზედაც ეწერა: „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!“

ყოველდღიურად მატულობს „წითელი დახმარების“ საწყობებში პატიმართათვის დასარიგებელი ტანისამოსი, სურსათ-სანოვაგე და სხვ. შემოწირულებები.

„წითელ დახმარების“ კომიტეტებში მომუშავე ქალები დიდი ხანია შეუდგენ პატიმართათვის გადასაგზავნი საჩუქრების შეკვრასა და დამზადებას. დიდის ყურადღებით იხილავენ პატიმართა განცხადებებს და აკმაყოფილებენ მათ ყოველგვარ მოთხოვნილებებს. 1928 წ. დეკემბრიდან უკვე დაიწყეს საჩუქრების განაწილება პატიმართა შორის.

აღმოსავლეთ პრუსიაში სამი ადგილობრივი ჯგუფის მიერ შეგროვილი იქნა ერთი რონოდა კარტოფილი ელგესბურგის „წითელი დხმარების — რემედასის“ ბავშთა სახლისათვის.

ამავე დროს დიდძალ ტანისამოსის გადაგზავნას აპირობენ იმ ქვეყნების პოლიტპატიმართათვის, სადაც მწვავე ხასიათს ღებულობს თეთრი ტერორის მოძრაობა.

„წითელი დახმარების“, როგორც ყველა სხვა წამოწყებებს, ისე ამ კვირეულის ჩატარებასაც ხელს უშლის ბურჟუაზია და ცდილობს ჩაშალოს ის. ამ კამპანიის პრაქტიკულ მონაწილეებს ხშირად აჯარიმებენ ფულით. ზოგიერთებს საპატიმროსაკენაც კი მიერეკებიან.

მიუხედავად იმისა, რომ ბურჟუაზია მთელი თავისი შესაძლებლობით ხელს უშლის მის მოღვაწეობას, შემჩნეულია, რომ „წითელი დახმარების“ ორგანიზაციის ნაყოფიერება თანისთან ძლიერდება და მტკიცდება.

ბურჟუაზიის ჯალათების თავდასხმები ვერ შეაშინეს „წითელი დახმარების“ ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. ისინი კვლავინდებურად ნაყოფიერად განაგრძობენ მუშაობას.

363(ᲥᲐ)(05)
Ჰ43

წელიწადი მეხუთე

№ 1

იანვარი

∞ 1929 ∞

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რემედასი

რემედასის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17-42. ∞

რემედასის უჯრედთა ბიუროებისა და კომიტეტების გადარჩევა

649

უჯრედთა ბიუროებისა და კომიტეტების გადარჩევის კამპანიის ჩატარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის გასაძლიერებლად მომავალში.

გადარჩევის გეგმაშეწონით ჩატარებამ გასულ წელს ორგანიზაციებს საშუალება მისცა გასცნობოდენ ძირითად ორგანიზაციების მდგომარეობასა და მათ მიერ ჩატარებულ მუშაობისაგან მიღებულ გამოცდილებებს. ამავე გადარჩევამ ხელი შეუწყო ორგანიზაციებში ჩაბმულიყვნენ აქტივთა ახალი კადრები და თვალსაჩინოდ განემტკიცებია საზოგადოებრივი თვითმოქმედების პრინციპი მთელს ჩვენს მუშაობაში.

უჯრედთა ბიუროებისა და კომიტეტების გადარჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე წლის განმავლობაში, ვინაიდან ის ხვდება რემედასის მეორე ყრილობის დადგენილებათა, ადგილების მიერ ცხოვრებაში გატარების გადაშინჯვის პერიოდში, როცა კიდევ უფრო გაღრმავებული და გაძლიერებული უნდა იქნეს მთელი ჩვენი მუშაობა ფართე თვითკრიტიკის საფუძველზე.

ჩვენ ვიცით, რომ გასულ 1928 წ. დეკემბრიდან მთელს კავშირში ტარდება ქალაქისა და სოფლის საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიები, ამიტომ შეუძლებელი იქნება ორივე ამ მეტად დიდ მნიშვნელოვან კამპანიების ერთსადაიმავე დროს ჩატარება.

პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოების მთელი ყურადღება მიპყრობილი იქნება საბჭოების გადარჩევის კამპანიისაკენ, ასეთ პირობებში რემედასის ორგანიზაციები ვერ შესძლებენ ღირსეულად ჩაატარონ უჯრედთა ბიუროებისა და კომიტეტების გადარჩევის კამპანია, მით უფრო, რომ რემედასმა თვით უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში.

საბჭოების გადარჩევის კამპანიაში რემედასის მონაწილეობას კი უდიდესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, რემედასი, როგორც მასიური პროლეტარული ორგანიზაცია, ვერ დარჩება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღების გარეშე.

რემედასის საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, რემედასის უჯრედთა ბიუროებისა და კომიტეტების გადარჩევის კამპანია გადასდო 1929 წ. აპრილი და მაისისათვის.

ამ გადარჩევის კამპანიისათვის რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციები წინასწარ უნდა მოემზადონ სათანადოთ. ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნენ რემედასის აქტივთა კადრები და წევრთა მასა.

თვით გადარჩევები ჩატარებული უნდა იქნეს რემედასის მეორე ყრილობის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების გადაშინჯვით, ჯანსაღი თვითკრიტიკის გაძლიერებით და რემედასის რიგებში მშრომელთა ახალი კადრების ჩაბმით.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაობის უნარის მქონე, ბიუროს, კომიტეტებისა და სარევიზიო კომიტეტების შემადგენლობის შერჩევას.

ამრიგად მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ჩატარებულ გადარჩევის დროს რემედასის ადგილობრივი ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რათა ყოველმხრივად გათვალისწინებული იქნეს წარსულში მიღებული გამოცდილებანი, მუშაობაში შემჩნეული ნაკლი და უჯრედთა ბიუროებია, კომიტეტებისა და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში უნდა შევიდენ ისეთი ამხანაგები, რომლებიც შესამჩნევად წინ წასწევენ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობას.

რემედასის არც ერთი წევრი არ უნდა დარჩეს საბჭოების გადარჩევის კამპანიაში მონაწილეობის მიღების გარეშე.

აქტივისტებო, მშრომელთა მასების წინაშე ახსნა-განმარტება მიეცით რემედასის მონაწილეობის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ მნიშვნელობას საბჭოების გადარჩევაში.

ნიუ-იორკში დემონსტრანტები ქუჩა-ქუჩა დაატარებენ ლენინის სურათს.

როგორ ცხოვრობენ ამნისტიის შემდეგ თავისუფლებაში.

გერმანიაში, ამნისტიის ძალით განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა ისევ მძიმე და აუტანელია. უმრავლესობას საპატიმროში ყოფნის დროს დაკარგული აქვს ჯანმრთელობა. ბევრი მათგანი სულიერადაც დაავადმყოფებულია. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ ისინი ხანგრძლივად ისხდენ ციხესა და კატორღებში მთელ რიგ, ელემენტარულ, ადამიანურ უფლებას ართმევს მათ. ისინი ყველგან განიცდიან შევიწროებასა და დამცირებას.

მაგალითისათვის შეგვიძლია აქვე დავასახელოთ მუშა იოანე ჰააზე. ეს უკანასკნელი სამი წლის პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს. საპატიმროდან თავის დაღწევის შემდეგ ის ჩაუსახლდა ერთ-ერთ ქვრივ დ...ს. პოლიციამ ჩქარა გაიგო ეს ამბავი და ქვრივ ქალს დ...ს გამოუგზავნა ბრძანება, რომლის ძალით ქალს უნდა დაეცალა მის მიერ დაკავებული ბინა... ქვრივი ქალი დ... გამოცხადდა პოლიციაში და მოახსენა, რომ მოქ. ჰააზემ უკვე დასტოვა ჩემი ბინა და წავიდაო, ამავე დროს დ...მ დასძინა, რომ პოლიციის ასეთ დევნას შეუძლია ჰააზეს თავი მოაკვლევინოსო. პოლიციამ ქალს უპასუხა: „ჩვენ ამით ბევრს ვერაფერს დავკარგავთო". და მართლაც მუდმივ დევნით მობეზრებულმა ჰააზემ თავი ჩამოიხრჩო.

აი კიდევ მეორე შემთხვევაც. პოლიტიკური პატიმარი დ..., რომელსაც სასამართლომ მიუსაჯა ორი წლის ვადით ციხეში დაპატიმრება „სახელმწიფოს მშვდობიანობის საწინააღმდეგო" მოქმედებისათვის სასამართლომ მოსთხოვა სასამართლოს ხარჯების დაფარვა. ცხადია, რომ პატიმარს ამისი გადახდა არ შეეძლო. მაშინ მის ცოლს ჩამოართვეს ავეჯეულობა ამ თანხის დასაფარავად. მხოლოდ ხანგრძლივი ხვეწნა-მუდარისა და თხოვნის შემდეგ დართეს მას ნება ნაწილ-ნაწილად შეეტანა „დავალიანება" სასამართლოში. ბევრია ასეთი შემთხვევები. პოლიცია ყოველგვარ სისაძაგლეს სჩადის იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო აუტანელი გაჰხადოს ამნისტიით განთავისუფლებულთა ცხოვრების პირობები. საბინაო სივიწროვეს ემატება უმუშევრობა. საპატიმროდან ახლად განთავისუფლებული სამუშაოს ველარ შოულობს, თუ მას აქტიურად არ დაეხმარა. პროფკავშირის საქარხნო კომიტეტები, ან მუშები.

ამნისტიაში მოყოლილთა უმრავლესობა დაავადებულია საშინელი სენით — ჭლექით, რომელიც მათ შეითვისეს საკატორღო საპატმროებში. მათთვის საჭიროა ხანგრძლივი და სათანადო წამლობა, რომელსაც მოკლებულნი არიან ისინი.

გერმანიის „წითელი დახმარების" კომიტეტი უდიდეს დახმარებას უწევს ყველა იმათ ვისთვისაც საჭიროა წამლობა, მაგრამ ყველას ვერ აღმოუჩენს ამ დახმარებას.

გაფიცვები კოლუმბის ბანანების პლანტაციებში

დეკემბრის დასაწყისში იფეთქა გაფიცვებმა კოლუმბიის ბანანების პლანტაციებში.

ამ გაფიცვაში მონაწილეობდა 30.000 მუშა. მათ შორის 12.000 სოფლის მეურნე, რომლებიც მუშაობდენ ამ პლანტაციებში, დანარჩენები იყვენ რკინისგზელები, ტელეგრაფის მოხელეები და სხვ. გაფიცულებმა დაიპყრეა თუ არა ის ციხე, სადაც ბატონები ამწყვევდენ შემჩნეულ მუშებს, გაანთავისუფლეს ეს უკანასკნელნი და მათ ადგილას ჩაჰყარეს შტრეიკბეხერები და მოღალატეები. მთავრობამ სამხედრო წესები გამოაცხადა გაფიცვების დაწყების პირველ დღიდანვე. რამდენიმე დღის შემდეგ მან დამატებით სამხედრო ნაწილები გაგზავნა მდინარეებში მაღალი გემებით.

მუშებს იარაღი არ გააჩნდათ, ისინი შეიარაღებულნი იყვენ მხოლოდ ბანანების საჭრელი, ხელის დანებით. პირველ შემოტევის შემდეგ გაფიცულებმა დაიხიეს სიერიევადის მთაგორიანი ოლქისაკენ, რადგანაც გაშლილ ტრამალებზე შეუძლებელი იყო ტყვიამფრქვეველებითა და

ზარბაზნებით შეიარაღებულთა წინააღმდეგ დანებით ბრძოლის წარმოება.

თუ ყერწმუნებით უკანასკნელ ხანებში მიღებულ ცნობებს ეს აჯანყება უკვე ჩაქრობილი უნდა იყოს, პლანტაციებში კვლავ განახლდა მუშაობა.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რატომ იფეთქა ამ გაფიცვამ ან, როგორის გზით ვითარდებოდა ის, ამისათვის ურიგო არ იქნება აქვე შევჩერდეთ და რამდენიმე სიტყვით მაინც დავახასიათოთ თანამედროვე კოლუმბიის მდგომარეობა.

კოლუმბიას უჭირავს 1.400.000 კვადრატიული კილომეტრის სივრცე, ე. ი. სამჯერ მეტი ვინემ გერმანიას უჭირავს ომის შემდეგ.

კოლუმბიის მოსახლეობა (7.000.000) უმთავრესად შესდგება მეტისებისაგან (ინდოელებისა და ესპანელების ნარევი). გარდა ამისა 7% ინდოელია (წითელგანიანები), 5% ნეგრი, დანარჩენები კი თეთრი რასის წარმომადგენლები არიან. სამხრეთ მთიანი და დაბლობი ადგილები ინდოელებს უჭირავთ, ისინი ეწევიან მეურნეობასა და მესაქონლეობას. ინდოელთა ტომებით არის დასახლებული აგრეთვე ნახევარკუნძული კოახირა, სადაც კათოლიკეთა მისიონერები დღემდის განაგრძობენ მონებით ვაჭრობას. ისინი ერთად თავს მოუყრიან მთელ რიგ ინდოელებს და მათ ჰყიდიან მდიდარ მემამულე ვენეციელებზე. წყნაროკეანის სანაპირობზე მომუშავენი თითქმის, მარტო ნეგრები არიან.

სახალხო მეურნეობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს მიწის დამუშავებას. აქ მოდის: ყავა, შაქრის ლერწამი, თუთუნი, ბანანები და ნაწილობრივად ბამბაც.

ძალიან გახშირებულია აგრეთვე მეჯოგეობაც. თითქმის ყველგან, პლანტაციები განსაკუთრებით უცხოელების ხელშია. ისინი ამას ამუშავებენ დაქირავებული შრომით, ან აძლევენ იჯარით, მაგრამ ძალიან პრიმიტიულ და ბატონ-ყმურ პირობებში.

ჯერჯერობით საერთოდ ცუდათაა დაყენებული მრეწველობა. პირველი ადგილი უჭირავს ნავთის მრეწველობას. ნავთის კონცესია, რომელიც 80.000 კვადრატიულ კილომეტრს უდრის უკვე გადაცემულია, მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად ვერაა დამუშავებული.

ბანანების პლანტაციის პატრონია — ჩრდილო-ამერიკის ბანანების უძლიერესი ტრესტი. ეს ტრესტი ამერიკის რამდენიმე სახელმწიფოებში პირველობს. ტრესტის მიერ ამ პლანტაციებში დახარჯული ფული უდრის 200 მილიონ დოლარს. კოლუმბიაში ტრესტის პლანტაციას უჭირავს 20.000 კვადრატიული კილომეტრი. მის ხელშია რკინის გზა, რომელიც იჭრება ქვეყნის შუა გულში; ეს გარემოება საშუალებას აძლევს ტრესტს უმნიშვნელო ფასებში შეიძნოს მთელი ამ ქვეყნის შემოსავალი, რომელიც მოჰყავთ აქაურ გლეხებს.

ერთად-ერთი მონოპოლიური მყიდველი ტრესტია. განსაკუთრებული საზომით ტრესტი აქ ყიდულობს ჭირნახულს 50-60 ცენტად, ხოლო ნიუ-იოროკში კი — ჰყიდის 3 — 4 დოლარად.

პლანტაციებში მომუშავეთა ხელფასი მეტად მცირეა. ისინი ცხოვრობენ სახელდახელოდ და ცუდად აშენებულ კარვებში და წვანან მიწაზე, მუშებს უფლება არა აქვთ თან მოიყვანონ ცოლშვილიც. წვრილფეხა ვაჭრებსა და კომერსანტებს პლანტაციის ტერიტორიაში მისვლა აკრძალული აქვთ. მუშები იძულებულნი არიან თავიანთთვის სურსათ-სანოვაგე აიღონ მხოლოდ კომპანიის დუქნებში. ამ დუქნებში კი უმთავრესად მაგარი სასმელები იყიდება.

ამ აუტანელ პირობების საწინააღმდეგოდ მუშები ყოველთვის პროტესტებს აცხადებდენ დაბოლოს, როცა მათი ცხოვრების პირობები სრულიად აუტანელი გახდა მათ მოაწყვეს გაფიცვები.

წვრილი ვაჭრები და გლეხობა, როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც მხარში ამოუდგენ გაფიცულებს და უწევენ მათ ნივთიერ დახმარებას. აქ კავშირებს ფული არა აქვთ, საწევრო გადასახადებს არ იღებენ, ამიტომ გაფიცვების დროს სახელდახელოდ უხდებათ ფულის შეგროვება. ასეთ შემთხვევების დროს ნებაყოფლობით აგროვებენ ფულს, ან სურსათ-სანოვაგეს.



იტალიის ერთ-ერთი კუნძული, სადაც აგზავნიან გადასახლებულებს.

რუმინეთის პროლეტარიატის დემონსტრაცია ქ. ბუქარესტის ქუჩებში. დემონსტრანტები მოითხოვენ პოლიტიკურ პატიმრების სრულ ამნისტიას.

რაში მდგომარეობს ამ გაფიცვის მნიშვნელობა?

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩრდილო-ამერიკის ტრესტის წინააღმდეგ მებრძოლი სოფლის მეურნეები, მუშები, წვრილი ვაჭრები და გლეხები, უშუალოდ პირისპირ წასრდგენ სახელმწიფოს მმართველობის წინაშე, რომლის განკარგულებაში იყო სამხედრო გემები, ტყვიამფრქვეველები, ჯარები და სხვ..

ეს გარემოება მუშებს გაცილებით უფრო მეტს ეუბნება ვინემ, დაწერილი წიგნები, იმის შესახებ, რომ კოლუმბიაში სახელმწიფოებრივი აპარატი იცავს ყველას, როგორც ეროვნულ, ისე უცხოელ მრეწველებისა და მათი დამჭაშების ინტერესებს. გარდა ამისა მუშებმა თვით დაინახეს, რომ ჩრდილოეთიდან მოვიდა ჩრდილო-ამერიკის გემი „ჩრდილო-ამერიკელ მოქალაქეთა დასაცავად".

ამერიკის ტრესტის, კოლუმბიის ბანანების პლანტაციებში მომუშავეთა გაფიცვებს აქვს ამავე დროს, მეორე. უფრო უდიდესი მნიშვნელობა. ამ გაფიცვებმა დაამტკიცა, რომ ლათინურ ამერიკაში, სერიოზული და გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება შესაძლოა მხოლოდ მუშების კლასობრივი ხელმძღვანელობით და შინაური მტრების — მემამულე-მოხელეთა ხელისუფლების განადგურებით. კოლუმბიის მემამულეებმა და მათმა მთავრობამ კარგად შეიგნეს ეს გარემოება. ჯერ კიდევ 1928 წ. მათ მიიღეს სამხედრო მინისტრის მიერ გამომუშავებული კანონი ე. წ. „საგმირო პროექტი". ეს კანონი არის იტალიის, ვენგრიის, ბულგარეთის და სხვ. ევროპიულ „კულტურულ" და „მოწინავე" ქვეყნების კაბინეტამია პოლიტიკის გამომსახველი.

„გმირული კანონი" მიმართავს ყოველგვარ საზიზღარ საშუალებებს. როგორიცაა შემჩნეულ პირთა დევნა, შეპყრობა, მათი პიროვნების დამცირება და სხვ. ამ კანონის ძალით დევნას განიცდიან, არა მარტო კომუნისტური პარტიის წევრები, არამედ ყველა ის მოქალაქენი, რომლებსაც ჰსურთ პატიოსნად ემსახურონ მუშათა კლასის საქმეს, მის საარსებო ინტერესებს. „გმირული კანონი" ამოქმედებულია იმ მიზნით, რომ მომავალში უფრო ადვილად შემოიჭრას კოლუმბიაში უცხო კაპიტალი; აქედან კი ცხადზე უცხადესია ის გარემოება, რომ მათ განზრახული აქვთ ძირფესვიანად აღმოფხვრან კოლუმბიის პოლიტიკური დამოუკიდებლობის უკანასკნელი ნიშანიც კი.

მაგრამ მიუხედავად ამ კანონისა და გაფიცულთა წინააღმდეგ წარმოებულ საშინელი რეპრესიებისა თანისთან იზრდება აქ საერთო უკმაყოფილება და რევოლიუციონური მოძრაობა მასიურ ხასიათს ღებულობს. კოლუმბიის მუშათა წრეებიდან უკვე არიან ბრძოლაში გამობრძმედილი და გამოცდილი მუშები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაფიცვებს, ეს ამხანაგები სულ ჩქარა ჩამოყალიბდებიან ერთი მთლიანი კომუნისტური დროშის ქვეშ და ძლიერი იერიშით ეკვეთებიან თავიანთ კლასობრივ მტერს. კოლუმბიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა რევოლუციონური სოციალისტური პარტია, რომელიც გასულ ზაფხულში, კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესზე მიღებული იქნა კომინტერნში. კოლუმბიის პროფკავშირებში რევოლიუციონური სოციალისტური პარტია ყველაზე უფრო დიდი პოპულიარობით სარგებლობს. „გმირული კანონი", ე. ი. ყაჩაღური კანონი ამაში ალბათ კიდევ უფრო შეუშლის ხელს. ყველა მხდალი და გაუბედავი ამხანაგები ჰქრებიან და მომავალ გაფიცვების დროს ეხლანდელი გაფიცვების მწარე გაკვეთილები მთლიანად იქნება გამოყენებული და გათვალისწინებული.

ე. შავაროში.

შ ე ფ ა ს ე ბ უ ლ ი თ ა ვ ე ბ ი

ვიდრე იარსებებს კაპიტალისტური წყობილება, ბურჟუაზია მუდამ შეეცდება მუშათა კლასის შევიწროებას, მის დევნას და განადგურებას. რევოლიუციონურ პროლეტარიატის საუკეთესო წარმომადგენლებისათვის ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში მუდამ ღია იქნება საპყრობილის კარები.

მართალია მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები მუდამ სხვადასხვანაირი იქნება, მაგრამ ერთი მაინც ცხადია, მეფის ოხრანკა იარსებებს, თუ ჰინდენბურგის რესპუბლიკის ახალგაზრდა დამცველები — სულერთია, მუშათა კლასის მიმართ ბურჟუაზია ყოველთვის შურისძიების გრძნობით იქნება ამხედრებული. ეს ყოველთვის უცვლელი დარჩება, ვიდრე ძალაუფლების სათავეში იქნება ბურჟუაზიული სამყაროს დამცველთა ხროვა.

***

ბერლინის მუშათა უბნები ზეიმობდენ მაშინ, როცა შვიდი ახალგაზრდა კომუნისტი შეიპარა საპატიმრო მოა-

ბიტში და იქიდან გაანთავისუფლეს წელიწად ნახევრის პატიმრობის მძიმე პირობებში ყოფნის შემდეგ ამხ. ბრაუნი.

პოლიციის უფროსმა, სოციალ-დემოკრატმა, მობილიზაცია გაუკეთა მთელ თავის აპარატს და ბრძანება გასცა, რათაც არ უნდა დაეყდომოდათ მოენახათ ამხ. ბრაუნი და ბენარიო.

სად ვიმალებოდი მე ამ დროს? შეიძლება მე ამ დროს ქალაქიდან თვითმფრინავითაც კი გადავფრინდი? ან იქნებ სადმე სარდაფში ვიჯექი შიშით აცახცახებული ჯალათების ხელოდინში? არც ერთი და არც მეორე! მე მყავდა დამცველი, რომელსაც ყველაფერში ვენდობოდი. მე მფარველობდა ბერლინელი მუშების ერთსულოვნება.

* * *

სრულ რვა საათზე მივიდენ ერთ-ერთ თანაგრძნობით განწყობილ მუშასთან და შეეკითხენ მას:

— შეგიძლია თუ არა შენ ორიოდე დღით შეინახო ამხ. ოლღა?

— თავისთავად ცხადია, რომ შემიძლია, — იყო პასუხი.

ნახევარ საათის განმავლობაში მე უკვე იქ ვიყავი. იმ მუშამ კარგად იცოდა უბედურების დროს, ე. ი. თუ მე იმასთან აღმოჩენდენ, მას არ ასცდებოდა საპყრობილე. მას ჰქონდა ოჯახი, ყავდა ცოლ-შვილი. მიუხედავად ამისა მას ყოყმანი არ დაუწყია.

მე ძალიან კარგად გამიმასპინძლდენ გაფიცულ მუშის ოჯახის პირობაზე. ღამით მე ვიწექი ერთ ლოგინში მის ცოლთან ერთად. თვითონ მუშამ სთქვა, რომ ის მეორე ოთახში მოეწყობა მარტო. იმ ღამით ის დაწვა სამზარეულოში, იატაკზე და დილის სრულ ექვს საათზე სადღაც წავიდა.

მეორეჯერ მე მოვხვდი უფრო შეძლებულ მუშასთან. ორივე, ცოლ-ქმარი ორმოცდაათი წლის იქნებოდენ. მე რომ იმათ სახლში დაეპატიმრებინეთ, ორივეს დააპატიმრებდენ. ასეთ მოხუცებულებს ხომ არ შეეძლოთ პატიმრობის პირობების ატანა? მიუხედავად ამისა მათ უარი არ უთქვამთ ჩემს მიღებაზე. წელიწადში მოხუც მუშას ეკუთვნოდა ოთხი დღის შვებულება. ისიც ეხლა აიღო. მთელი დღეების განმავლობაში, ყალიონით პირში, იდგა ფანჯარასთან და ქუჩისკენ იცქირებოდა, რათა არ შემოპარულიყო ეზოში ვინმე საეჭვო, პოლიციელი. ჯაშუში. მთელი ჩემი იქ ყოფნის დროს მოხუცმა მუშამ მხოლოდ ერთხელ დასტოვა თავისი სადარაჯო. ეს მოხდა მაისის პირველს. იმ დღეს მან წაღები გაიკრიალა, წითელი ბანტი გაიკეთა და, როცა დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებათ მიდიოდა სიხარულით უბრწყინავდა სახე. ის თითქოს გაჯეელდა. ჩემთვის კი ეს მწუხარე დღე იყო. ჩემს სიცოცხლეში იმ დღეს პირველად დავრჩი დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების გარეშე. მხოლოდ შორიდან მოისმოდა მუსიკის ხმები.

ერთხელ, როცა გამომეღვიძა მე ვიგრძენი დედის მოალერსე ხელები. დედაბერი ჩამომჯდარიყო ჩემს საწოლთან და უსიტყვოდ მიმზერდა თვალებში. იმ წუთში ის მშობელ დედაზე უფრო ახლოს იყო ჩემთან.

ამის შემდეგ მე ვცხოვრობდი ახალგაზრდა ხალხთან. რადგანაც მე დღისით არ მქონდა ქუჩაში გასვლის საშუალება მთელი დღის განმავლობაში ოთახში ვიჯექი და ბავშებს ვეთამაშებოდი. ჩემი იქიდან წასვლის შემდეგ მეუბნებოდენ, რომ ბავშები თურმე სულ მე მკითხულობდეს და დამეძებდენ.

ყოველ მესამე, თუ მეოთხე დღეს მე ვიცვლიდი ოთახს. მე მიცხოვრია ცოლშვილიან და უცოლშვილო მუშასთან. მაგრამ ყველგან ერთი რამ არის აღსანიშნავი: უდიდესი სიყვარულის გრძნობა, თავდადებული მფარველობა და გამტანობა.

ბერლინში მე ოთხი კვირა გავატარე. მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ვიმყოფებოდი სანდო ამხანაგების ზედამხედველობისა და მფარველობის ქვეშ.

მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მუშათა ერთსულოვნება მარტო ამაში არ გამოიხატება.

ჩემი და ამხ. ბრაუნის სურათები, რომლებსაც სისტემატიურად ქუჩებში აკრავდენ პოლიციის აგენტები უგზოუკვლოდ ჰქრებოდენ; როცა ჩვენი გაქცევის შესახებ განცხადება გამოაკრეს კინოებში, მათი მეპატრონები იძულებულნი შეიქნენ მოესპოთ ის. ბერლინის მუშები ჩვენს მხარეზე იყო. მან ჩვენდამი სიყვარული გამოაშკარავა არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც კი დაამტკიცა ეს. მან ბრწყინვალედ დაიჭირა გამოცდა, რომელიც ყოველთვის დაუვიწყარი დარჩება.

ოლღა ბენარიო.

ოტო ბრაუნი და ოლღა ბენარიო საბჭოთა კავშირში.

აჯანყებული მთები

(გაგრძელება)

* * *

იმ ქვეყანაში, რომელიც მოცული იყო ცეცხლითა და აჯანყებით, მოვიდა საკვირველი და შემძრწუნებელი ცნობა:

შორეულ, ცივ რუსეთში რაღაც მოხდა... მოხდა, რაღაც არაჩვეულებრივი, გრანდიოზული რამ, რომელიც ჯერ-ჯერობით გაუგებარია... მაგრამ ამ ცნობას ერთიმეორეს ჩუმად აწვდიდენ შავი მთის, თავისუფლების მოყვარული შვილები... ინახავდენ და უფრთხილდებოდენ ამ ცნობას .. იზრდებოდა და თანისთან ყალიბდებოდა აზრი... ნაციონალურ ჩაგვრა-მონობის წინააღმდეგ მიმართულმა ბრძოლამ სტიქიურად იფეთქა და ნამდვილი პოლიტიკური სახე მიიღო... ჩერნოგორელმა პარტიზანელებმა — მიიღეს დროშები.

წითელი... ალური დროშები...

კვლავ იფეთქა შეურიგებელმა და მკაცრმა ბრძოლამ ..

სწორედ ამ დღეს დაბრუნდა საბჭოთა რუსეთიდან, მთიული, ძველი მგელი — ექიმი ვუკაშინ მარკოვიჩი. სოციალ-დემოკრატიულ წრეებში, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში მიიღო მან ბოლშევიკური ნათლიობა, ის აქედან გამოვიდა გამობრძმედილ კომუნისტად... ამრიგად ლენინიზმის ნაციონალურ პოლიტიკის გეგმები ჩამოიტანა ექიმმა შავი მთის მიუვალ ხრიოკებში...

კანონს გარეშე გამოცხადებული ძველი ლუკაშინი დადიოდა მთებში, სოფლიდან სოფლად და არჩენდა შავი მთის მკვიდრთ. მეტად კარგი დოსტაქარი იყო ის. პინცეტისა და მარლის შესახვევთან ერთად ის თან ატარებდა შეურიგებელ ბრძოლის წითელ სიტყვას.

ის ხან ერთ სოფელში გამოჩნდებოდა, ხან მეორეში და თავისი მჭერმეტყველი სიტყვით ბრძოლის ცეცხლს უნთებდა გულში ყველა იმათ, ვინც ამაზე არასოდეს არ ფიქრობდა... ვისაც მტერთან ბრძოლაში ჯერ კიდევ აქტიური მონაწილეობა არ მიეღო.

მას ვერავინ ვერ აპატიმრებდა. პრიმიტიულმა მთიულებმა ის მონათლეს ხალხის გმირის სახელით. და მართლაც ის იყო მათი კანონი და ღმერთი, ის იყო აღზნეული ბრძოლის ცეცხლი, ახალი სამყაროს, ძმობისა და თავისუფლების მოციქული. მისი გვარი არავის ახსოვდა, მაგრამ არ იყო ისეთი მთიული, რომელიც არ ყოფილიყოს მისი ნაცნობი, არ იყო ისეთი მთიული, რომელიც არ იცნობდა „ექიმს“.

1921 წ. მან პირველად ჩამოაყალიბა მებრძოლი გუნდი. პიპერების ტომმა, რომელსაც ის ეკუთვნოდა, კარგი მეომრები წამოაყენა. პატარა, ჯმუხა მოხუცი, მუხასებრ მაგარი და ქურციკივით ცქვიტი, რამდენიმე ახალგაზრდა და ექმის ძმის წული, პატარა სტოია მარკოვიჩი... ჩაშავებულ, მღვრე გვირაბებში, მთის ორწოხებში, ხევ-ხუვში, ხეობებსა და მთაში გადაკარგულ ბილიკებზე ექიმის, შეიარაღებულთა ჯგუფი სტოვებდა კვალს: ცარიელ ვაზნებს და ზოგჯერ, სისხლის ლაქას. შავი მთის მკვიდრნი აღმერთებდენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ... ჟანდარმებსა და მოხელეებს შიში აკანკალებდა. მისმა იარაღმა არ იცოდა აცდენა... ის სწრაფად და უშიშრად გადადიოდა ერთიდან მეორე ადგილზე... ის შურისძიებას ატარებდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ათეულ წლების განმავლობაში ამტკიცებდა შავი მთის მკვიდრთა ჩაგვრა-მონობას...

ამხ. მარკო „26“ კომუნარის სახ. რაიკ. შინამრ. კოოპ. კავშ. რემედასის უჯრედის კრებაზე მოხსენებას აკეთებს ბალკანეთის ქვეყნებში თეთრი ტეროორის თარეშის შესახებ.

„26“ კომ. სახ. რაიკომის შინ. კოოპ. კავშ. რემედასის უჯრედის კრება თეატრ „ოდეონ“-ში.

* * *

ბელგრადი შეშფოთდა... ჩერნოგორელ პარტიზანების, ოდნავად შენელებულმა ბრძოლამ ისევ იფეთქა. მოუსვენარი ექიმის, მთის მგელის სახელი აშფოთებდა მეფის სასახლეს... მოქმედების ადგილზე გაიგზავნა ჟანდარმთა ბატალიონები. მეამბოხეთა თავები ათას დინარებად შეაფასეს. მათი სურათები გამოჰფინეს ყველა თვალსაჩინო ადგილებზე. მათთან კავშირი სასტიკად აკრძალული იყო, ვინც ამ ბრძანებას დაარღვევდა დაუყონებლივ დახვრეტა მოელოდა... მიუხედავად ამისა ამბოხებულთ არასოდეს არ მიკლებიათ ვაზნები და სურსათ-სანოვაგე... განადგურების შიშის ქვეშ აწვდიდა მათ მოსახლეობა ყველაფერს... ისინი უდიდესი თანაგრძნობით ეპყრობოდენ საყვარელ ექიმს...

სამი უდიდესი და უმკაცრესი ბრძოლა გადაიტანა მეამბოხეთა ჯგუფმა... 1922 წ. რვა საათის განმავლობაში წარმოებულ სისხლისმღვრელ შეტაკების შემდეგ ჟანდარმთა ბატალიონმა დაარბია ამბოხებულნი, ამრიგად ვუკაშინის ჯგუფიც გაანადგურა. ჟანდარმებს ცოცხლად ჩაუვარდა სტოია და მისი ძმა იოლე. ექიმმა კი მოასწრო გაქცევა... ჟანდარმებმა ველარ შესძლეს მთის მგლის ხელში ჩაგდება. ამრიგად ისინი კვლავ საფრთხის წინაშე იდგენ ექიმის შეიარაღებულ თავდასხმის მოლოდინში...

შეპყრობილები სასიკვდილოდ სცემეს. 7 კვირის განმავლობაში ისინი მარტოდ-მარტო ჰყავდათ გამოჰკეტილნი ცეტინის საპყრობილის ქვეშ გამოქვაბულში.

მათ მოელოდა გასამართლება.

რევოლიუციონურ ხალხის, საუკეთესო მებრძოლ გმირებისადმი მიმართული ზიზღი და მტრობა შეშინებულმა ბურჟუაზიამ გადმოანთხია ახალგაზრდა პარტიზანელების წინააღმდეგ, მაგრამ ეს კიდევ უმნიშვნელოდ მიაჩნდათ მეფის სასახლის ერთგულ დამცველთ... მათ უნდოდათ სარზე წამოეცვათ ვუკაშინი მარკოვიჩის თავი...

ორი წლის შემდეგ ზეტსკის ოლქის უფროსმა, მეფის სასახლის სახელით წინადადება მისცა ექიმს დამორჩილებოდა მთავრობას. მან პატიოსანი სიტყვით შეჰპირდა ექიმს სრული თავისუფლება, წარსულის პატიება და ხელშეუხებლობა. მაგრამ რა ფასი აქვს ამ ქვეყნის ძლიერთა პატიოსან სიტყვას? ექიმი მართლაც გამოცხადდა, მაგრამ ის იმავე წუთში დააპატიმრეს და საპყრობილესაკენ გაისტუმრეს ბორკილებით ხელფეხ შეკრული. განა ეს პირველი შემთხვევაა, როცა ბურჟუაზიული მთავრობები თავიანთი პატიოსან სიტყვებსა და შეპირებებს ფეხქვეშ სთელავენ და აფურთხებენ მას?!.

მაგრამ შავი მთის მპყრობელთა ხროვამ ველარ მოასწრო შეურიგებელი ექიმის გასამართლება, აღდგომა ღამით. 1925 წ. მთის მგელმა დაამტვრია საპყრობილის კარი-ბჭეები, ორ-ნახევარ მეტრის სიმაღლე გალავნიდან გადახტა და მიიმალა... კვლავ იხუვლა ექიმის თოფმა მთაში, კვლავ დაიწყო ახალი სამზადისი მეფის სასახლეში წარმოებულ ვერაგობის წინააღმდეგ...

* * *

1925 წ. ოქტომბრის 30, ისტორიული თარიღია ჩერნოგორიის რევოლიუციონურ მოძრაობაში. ამ დღეს ცოტანის საოლქო სასამართლოში მოეწყო სტოიასა და იო-

ლეს გასამართლების პროცესი. არასოდეს მთავრობის მოსამართლეებს არ უგრძვნიათ იმდენი შეურაცყოფა და უხერხულობა, რამდენიც იმ დღეს.

ახალგაზრდა სტოია ამაყად და დინჯად უპასუხებდა მოსამართლეთ... რომლის დროსაც ირონიული ღიმილით შესქეროდა მათ... ის პასუხს აძლევდა პოემა „მთის გვირგვინიდან" ამოღებულ ადგილებით. მან კარგად იცოდა, რაც მოელოდა... ყოველდღურად ცემისაგან ქანცმილეული, მაგრამ 19 წ. ჯანლონით სავსე ახალგაზრდა იოლ თავს დაესხა მოხელეებს და მოსამართლენი თვით ჩავარდენ ბრალდებულის პირობებში. ახალგაზრდა ბრდალდებულის მოსწრებული და მამხილებელი სიტყვის გამო ისინი იძულებულნი შეიქნენ დაეხურათ სასამართლოს პროცესი...

ბერლინის მთავარ ქუჩებში ავრცელებენ რემედასის ლიტერატურას.

ახალგაზრდა რევოლიუციონერებს მიუსაჯეს 20 — 20 წელი კატორღა მძიმე ბორკილების ქვეშ.

* * *

რევოლიუციის ძლევამოსილი ტალღები ირყევენ მთელს სამყაროს. ისინი ხან მაღლა აიმართებიან, ხან კიდევ უფსკრულში იძირებიან... ამ ტალღების თამაშს ალმადალმა მიჰყავს ბურჟუაზიული მართმსაჯულება. თეთრი ტეროორი და კლასობრივი იუსტიცია... ასეულ ათასი საუკეთესო გმირები დაიღუპენ და დაიღუპებიან მომავალში თავისუფელბისათვის ბრძოლაში... მაგრამ მილიონი, აფეთქებული სიცოცხლე დაღუპვისთანავე სასიცოცხლოდ იწყებენ აყვავილებას, ისინი ისტორიის რკინის კანონის ძალით შეუჩერებლივ მიემართებიან წინ, და არავითარ ტლანქსა და უხეშ ძალას არ შეუძლია ამ მოძრაობის საბოლოოდ დასამარება.

მარკო.

ამხ. ანდრე მარტის პროცესი

გასული წელი აღსანიშნავია არა მარტო სამხედრო საპყრობილე კალვიაში აჯანყებულთა გასამართლებით, არამედ საფრანგეთში წარმოებულ სასამართლოსა და პოლიციის პროცესებით.

4, 266 დაპატიმრება, 231 პოლიტიკური პროცესი — ასეთია იმპერიალისტური მთავრობის მოღვაწეობა 1928 წ. განმავლობაში. ამასვე უნდა დავსძინოთ კომუნისტური და კომკავშირული პრესის უსაშინელესი დევნა, საპატიმროების რეჟიმის გაუარესება, განსაკუთრებით ჯარისკაცთა და მეზღვაურთათვის, დეპუტატთა ხელშეუხლებლობის ღარღვევა და პროლეტარულ პოლიტ-ემიგრანტების გადასახლება სახელმწიფოს საზღვრებიდან.

თეთრი ტეროსრისა და კლასობრივი იუსტიციის გაძლიერების ერთ უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ საფრანგეთის რევოლიუციონური კლასიურ ორგანიზაციები შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებენ, საფრანგეთის ბურჟუაზიის მილიტარისტულ და იმპერიალისტურ გეგმების ჩასასშლელად. საფრანგეთის გაბატონებული ბურჟუაზია ცდილობს ახალი ომი დაიწყოს ს.ს.რ. კავშირის წინააღმდეგ. ის ყოველგვარ ძალ-ღონეს ხმარობს რათა მოამზადოს საამისოდ ნიადაგი, მაგრამ მუშათა კლასი თავისი პროლეტარული პრესისა და ტრიბუნის საშუალებით ხელს უშლის მას, მუშათა კლასი აწყობს მათ წინააღმდეგ ანტიმილიტარისტულ დემონსტრაციებს, რომლისთვისაც ისინი ხშირად იყენებენ პარლამენტის ტრიბუნასაც კი.

ბრძოლის ამ რევოლიუციონურ მეთოდებს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე პროცესის დროს სასამართლოს დარბაზის გამოყენება, რუსეთის ცარიზმის საშინელი ეპოქის დასახასიათებლად და გადმოსაშლელად. რუს რევოლიუციონერთა ბრწყინვალე ტრადიციის მიხედვით. სწორედ ამაში მდგომარეობს ამხ. მარტის პროცესის თავისებურობა, რომელიც მოსმენილ იქნა პარიზის გამასწორებელ სასამართლოს მეთორმეტე კამერაში 1928 წ. ნოემბრის შვიდს.

* * *

ანდრე მარტის საქმე სწარმოებდა წლინახევრის განმავლობაში. 1927 წლის აგვისტოს 21-ს ინგლისურ ყოველკვირეულ ჟურნალ „რეფერი"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა ფრანგ მარშალ ფოშის საუბარი, ამავე ჟურნალის კორესპოდენტ ხისკოუტთან. ამ საუბარში ფოშმა განუცხადა ინგლისელ ჟურნალიტს, რომ თვით საფრანგეთის და ინგლისის მთავრობები არიან დამნაშავე იმაში, რომ საბჭოთა კავშირი არსებობს დღემდის, რომელიც უსაშინელეს საფრთხეს წარმოადგენს „განათლებულ ქვეყნიერებისათვისო".

— მე,—განაცხდა ფოშმა,—ჯერ კიდევ 1919 წ. მივეცი წინადადება ანტანტის მთავრობებს, მოეცათ ჩემთვის რუსეთის რევოლიუციის ლიკვიდაციის უფლება. მაგრამ მე მაშინ უარი მითხრეს იმ მოსაზრებით, რომ სახელმწი-

ფლები დაღლილნი არიან საერთაშორისო ომშიო. თუმცა, — დასძინა მარშალმა, — არც ეხლაა დაგვიანებული. საჭიროა მხოლოდ ერთსულოვნება, ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ ოპერაციის წარმოება, რომ საბოლოოდ აღიგავოს მიწის პირიდან ბოლშევიკური საშიშროება.

ამ უმაგალითო, გაიძვერულმა გამოსვლამ იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელთანაც საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკა „ნორმალურ" ურთიერთობაშია იმყოფება, საძინელი უკმაყოფილება გამოიწვია მრავალი ქვეყნის მშრომელ მასებში.

საერთაშორისო რევოლიუციონური ავანგარდის სახელით ფოშს პასუხი გასცა ანდრე მარტიმ.

* * *

ანდრე მარტის სახელთან დაკავშირებულია რევოლიუციონური ისტორიის ის ბრწყინვალე თარიღი, რომლის ათი წლის თავს ჩვენ ვიზეიმებთ მიმდინარე წლის აპრილში. ეს არის, საფრანგეთის, შავი ზღვის ფლოტის აჯანყება, რომელმაც ახლად გამარჯვებულ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებაზე უარი განაცხადა.

იმ დროს, როცა ჟურნალ „რეფერი"-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა მარშალ ფოშთან საუბარი, მარტი საპყრობილეში იმყოფებოდა, სადაც ის მოათავსა სასჯელის მოსახდელათ ბურჟუაზიულმა სასამართლომ. ამხ. მარტი მიუხედავად იმისა, რომ ის დეპუტატი იყო ბურჟუაზიამ 10 წლის ვადით გააგზავნა საპყრობილეში, მის მიერ მოწყობილ გამოსვლებისა და ანტიმილიტარისტულ ფელეტონების გამოქვეყნებისათვის.

მარტიმ ციხის საკანში შეადგინა „ღია წერილი" მარშალ ფოშისადმი, რომელშიაც ის არ დაერიდა მარშალის საქციელის დამახასიათებელ სიტყვების ხმარებას. მარტიმ მოაგონა მარშალს 1919 წელი, შავი ზღვის აჯანყების გაკვეთილები, როცა საფრანგეთის მთავრობა, რევლიუციონურ ჯარისკაცებისა და მეზღვაურების მოთხოვნით იძულებული გახდა უარი განეცხადებია, ინტერვენციაში მომავალში მონაწილეობის მიღებაზე და გამოსთქვა ღრმა რწმენა იმის შესახებ, რომ სწორედ იმ დღეს, როცა საფრანგეთის მთავრობა კვლავ შეეცდება საბჭოთა რესპუბლ. კავშირის წინააღმდეგ გალაშქრებას, საფრანგეთის რევოლიუციონური მუშათა კლასი და გლეხკაცობა, თავიანთი რუს ამხანაგების მაგალითების მიხედვით შემოაბრუნებენ იარაღს საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მარტის ამ წერილმა უდიდესი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, არა მარტო პარიზის საპყრობილეებში დაპატიმრებულთა შორის, არამედ მან საღერღელი აუშალა მთავრობის წრეებსაც კი, რომელსაც არ შეეძლო პასუხი არ გაეცა და სხვათაშორის ჩაეტარებია ეს უდიდესი ფაქტი.

უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო შემსუბუქება და განელება იმ შთაბეჭდილებისა, რომელიც შექმნა მარშალის უადგილო განცხადებამ. ამისათვის კი საჭირო იყო მოესპოთ ჟურნალ „რეფერი"-ს თანამშრომელთან ფოშის საუბარი. ამის შემდეგ საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური წერილი, რომელშიაც სამინისტრო ამტკიცებდა იმას, რომ ფოში არ იცნობს ხისკოუტს და მთელი ეს ისტორია თითქოს მან გაზეთების საშუალებით გაიგო მხოლოდ.



საპყრობილე „სანტე" (პარიზი), სადაც ამხ. ანდრე მარტი იხდის მისჯილ ვადას.

ამის შემდეგ მარტს წამოუყენეს სრულიად ახალი ბრალდება იმის გამო, რომ თითქოს ის თავის წერილში მოუწოდებდა რევოლიუციონერებს მოეკლათ მარშალი ფოში. სექტემბრის 26 პარიზის გამასწორებელ სასამართლოს იმავე მეთორმეტე კამერაში მოსმენილ იქნა მარტის საქმე და მას მიუსაჯეს ოთხი წლის ვადით ციხეში დაპატიმრება, 3000 ფრანკი ჯარიმით.

* * *

ამით არ გათავებულა ბრძოლა. საფრანგეთის სასამართლოს მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ სამხედრო სასამართლომ მარტის საპასუხო წერილი გამოაქვეყნა ჟურნალ „რეფერი"-ს რედაქციისა და მისი კორესპოდენტ ხისკოუტთან შეუთანხმებლად.

ეს გარემოება ჩინებულად გამოიყენა საფრანგეთის „წითელი დახმარების" ვექილმა, ბერტონომ, რომელიც

ამხ. გედჟაზი.
კომკავშირის ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი სპარსეთში



საბჭოთა სპარსული სკოლის გახსნა თეირანში (სპარსეთი), სკოლა აშენებულია სპარსეთში საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეთა შორის შეგროვილ **ლენინის** ძეგლის ასაშენებელ ფონდის საღსრით. ამრიგად ეს სკოლა უდიდესი ძეგლია **ილიჩის** ხსოვნის აღსანიშნავად. სურათზე — სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრები და უცხოელი სტუმრები სკოლის გახსნაზე.

პროცესის დროს იცავდა ამხ. მარტის. დამცველმა მოითხოვა საქმის გადასინჯვა და ჟურნალ „რეფერი"-ს რედაქტორის პრისტონის, კორესპოდენტ ხისკოუტის, სამხედრო მნისტრ პენლევესა და თვით მარშალ შოფის გამოძახება. სასამართლომ სხვადასხვა მიზეზების დასახელების გამო წელიწად ნახევრის განმავლობაში გააჭიანურა ზემოაღნიშნულ პირთა გამოძახება, მაგრამ ბოლოს ის ისევ იძულებული გახდა დაენიშნა საქმის გადაშინჯვის დრო.

პირველად გადაშინჯვის დღეთ დანიშნული იყო ნოემბრის ცხრა, მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის მოწმეების გამოუცხადებლობის გამო საქმე გადაიდო ერთი თვით და ხელმეორედ დაინიშნა შვიდ დეკემბრისათვის.

პენლევე და მარშალ შოფი არ გამოცხადდენ სასამართლოში. მათ ორივემ წერილობითი განცხადება შემოიტანეს, სადაც ბოდიშს იხდიდენ და თავიანთი დაუსწრებლობას აწერდენ სხვა უფრო საშური საქმეებით დატვირთვას.

მაგრამ გამოცხადდა პრისტონი... საოდავი სანახავი იყო მეთერთმეტე კამერის თავმჯდომარე.

— თქვენი გვარი და ხელობა, მოწმეე?

— პრისტონი, ლონდონის ყოველკვირეული ჟურნალ „რეფერი"-ს მთავარი რედაქტორი, იყო პასუხი.

— ადასტურებთ, თუ არა თქვენ, თქვენს ჟურნალში თქვენი კორესპოდენტის ხისკოუტის მიერ მოთავსებულ ცნობებს, მარშალ ფოშტთან საუბრის შესახებ?

— მთლიანად და უცვლელად!..

პირსტონმა აუჩქარებლად, ნელა და დინჯად აუწერა მთელი ის მდგომარეობა, რომელიც წინ უძღოდა ამ საუბარს. ეს საუბარი სწარმოებდა ინვალიდთა სასახლეში სენ-ჟერმენის მახლობლად 1927 წ. აგვისტოს 11, ფოშის კაბინეტში, სადაც მარშალთან იყო კიდევ შტაბის ორი ოფიცერი. მარშალს საუბრის ტექსტში ცვლილებების შესატანად 10 დღის ვადა ჰქონდა მიცემული... დრო გავიდა, შესწორება და ცვლილებები არავის შეუტანია და საუბარი დაიბეჭდა ხისკოუტის მიერ პირველად ჩაწერილი დედნის მიხედვით.

* * *

დეკემბრის 14 პარიზის გაზეთებში დაიბეჭდა განაჩენი ანდრე მარტის საქმის შესახებ. განაჩენში აღნიშნული იყო 4 წ. ვადით ციხეში დაპატიმრება და 3000 მარკა ჯარიმა; სასამართლომ ისევ დამნაშავეთ სცნო მარტი. მარშალ ფოში კი ისევ აუღელვებლად განაგრძობს თავის „მუშაობას" ინვალიდთა სასახლეში.

ლ. ვოლიერი.

ალბერტო კასტრიონი

უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, კოლუმბში გაფიცულ მუშებთან პოლიციის მიერ მოწყობილ შეტაკების დროს სხვა დაღუპულთა შორის აღმოჩნდა კოლუმბის რემედასის პირველი დამაარსებელი — ალბერტო კასტრიონი. მძიმე ჭრილობისაგან ის გარდაიცვალა რამდენიმე დღის შემდეგ. ის იყო 28 წ., სიცოცხლითა და ჯანღონით ავსილი. ხელობით ის იყო პოლიგრაფიული მუშა. რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბოგოტის სტამბის მუშაკთა კავშირის მუშაობაში. რამდენიმე ხნის განმავლობაში ის რედაქტორობდა გაზეთ „ს ი ნ დ ი კ ა ლ ი ს ტ ი"-ს. 1925 წ. ის მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ტრამვაის მუშებთან, გაფიცვაში, რომლის დამარცხების შემდეგ ის გადავიდა მეორე რაიონში—კაუკაში, სადაც ის აწარმოებდა მუშაობას კავშირში და რედაქტორობდა პროფესიონალურ გაზეთს. ამის შემდეგ ის არჩეულ იქნა პროფინტერნის IV კონგრესის დელეგატად.

კოლუმბში დაბრუნებისთანავე ის შეიპყრეს, მთავრობას განზრახული ჰქონდა გადაესახლებია იგი. მიუხედავად ამისა მუშების დაჟინებითი მოთხოვნით ის თავდების ქვეშ გაანთავისუფლეს. ამის შემდეგ ამხ. კასტრიონი დაუყოვნებლივ შეუდგა პროფინტერნის IV კონგრესის დადგენიბების ცხოვრებაში გატარებას. ბარანკილეში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სტამბის, სანაოსნო ტრანსპორტის და ნავსადგურის მუშებთან. ატლანტიკის ყვითელი პროფკავშირის ჩამოყალიბებისთანავე მან დაიწყო აგიტაციის წარმოება ამ უკანასკნელის წინააღმდეგ. ბანანების პლანტაციის რაიონში ყოფნის დროს ის აქტიურად მუშაობდა მუშებთან და აწარმოებდა მათ შორის გაფიცვების მოწყობას.

რიკარდო მარტინეცი.

დემნა შენგელაია

ციმბირი

მოთხრობა

სადგურში გადაბრუნებულ ორთქლმავალის ბუფერზე იჯდა ახალგაზრდა ჩინელი ჩეუ-პე-ი და ღილინებდა ისაღაც სიმღერას, ის სრულებით არ მღეროდა პოეტ ლი-ბოს ლექსს, ეს შტაბს-კაპიტან ბონდარჩუკს ეჩვენებოდა ასე:

ხალხი ამბობს: ხენცზიანი მშვენიერია,
მე ვიტყოდი: ხენცზიანი საძაგელია!..
ეს სამი დღეა უბერავს ქარი, აგორებს გორებს...
თეთრი ტალღები ვაგუანის კოშკზე მაღლა ვარდებიან...
ზღვა მოიქცევა სამხრეთისაკენ, ლახავს სიუნიანს!
„ხარის ნალექი“ მადანზე უფრო ზარდამცემია.
ხენცზიანზე მინდა გავცურო, მაგრამ რელმაა და ქარიშ-
ხალი,
მდინარეს მოაქვს სევდა, ვაება ათიათას ლის მანძილებიდან.
თუ დასავლეთით გაიხედავ: — ხენცზიანმა დასცარა ცინი.
აღმოსავლეთით ხანის წყალი უერთდება ბოროტ იანცზი-
ცზიანს,
თეთრი ზვირთები ადგა მთებივით... ვინ მოიძულებს ახლა
სიცოცხლეს
და ვინ გაბედავს გალმა გადასვლას!..
გიჟი ქარი აწამებს მენავეს.
ზღვაური ღმერთი ჩამოემხო ბოროტი ქარის ასამღვრევე-
ლად,
ტალღები სცემენ ზეცის ბჭეებს და კლდეთა ზღუდეებმა
ხახა დააღეს...
მდინარე ჩქევ. მერვე თვეში რათ ხარ ასეთი!..
გრიგალი სტყორცნის ტალღების გორებს და თოვლს გვა-
ფურთხებს.
ხენცზიანის პირას შემომხვდა მებორნე,
აღმოსავლეთით მიმითითებს და მეუბნება:
„იმღვრევა ქარი, ცა ქარბუქშია, ნისლს არ გადირეკს,
„აღმოსავლეთი გაირიყა ზღვის ვეშაპებით,
ათასი მდინარე მიდის უკულმა...
„ტალღები ცაში იფუნჯებიან... ირწევა, ქანაობს სამი
მწვერვალი, —
„ — ნუ გახვალთ, ბატონო!.. სახლში დაბრუნდით!..

ღილინებს ჩინელი ჩეუ-პე-ი და ფანჯარაზე გადმომდგარ საატამანო რაზმის უფროსი შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი ყურს უგდებს ნაღვლიანად.

სადგურთან დგას ჯავშნიანი ავტომობილი და ილრინება ავი ყუბაქივით.

ეს იყო ციმბრიში.

შტაბს-კაპიტან ბონდარჩუკის საატამანო რაზმი დაბანაკებული იყო სადგურის შენობაში.

სადგურში იყო სიბნელე; ღრიანცელი, დედის გინება და ბავშების ტირილი.

პარტახტიან სახადით შეპყრობილნი ჰგოდებდენ, ჯავშნიანი ავტომობილი გუგუნებდა და ჩინელი ჩეუ-პე-ი გულს აღონებდა ცხვირიდან წამოსულ მომღრჩვალ ღილინით.

მუხლამდი ეყარა მზესუმზირას ჩეჩექი, თევზის გახრული ძვლები, ტილები და ადამიანის და ცხენის განავალი.

სადგური ილრჩობოდა გულის შემაღონებელ სიმყრალეში და სუნთქვა სჭირდა.

ხანდახან ტაიგებიდან წამოუბერავდა ნოტიო ქარი, ანდა მონღოლიიდან გადმოჭრილი ცხელი ნიავი მოაგდებდა დახვრეტილ გვამთა გახრწნილ სუნს, ავარდებოდა ბინძური ტილებიანი მტვერი და სადგური იკარგებოდა აფორიაქებული ნაგავში და მტვერში.

წითელ პარტიზანულმა რაზმმა ქალაქი ომსკი აიღო.

საატამანო თეთერი ჯარები დაფრთხა, დისციპლინა დაირღვა, ჯარი გაიხრწნა, არ იყო პური, არ იყო იარაღი და გლეხები ჯანყდებოდენ: მოდიოდენ ცელებით, ნაჯახებით, ფიწლებით.

ამხ. მიხელ მდივანი
რემედასის ოჩამჩირის სამაზრო კომიტეტის მდივანი. შეკრიბა ჟურ. „რემედასის“ 58 წლიური ხელისმომწერი.

პიონერთა კოლექტივის რემედასის კუთხე ქ. ტფილისის 1-ლ საავადმყოფოში, დაარსებული ამხ. **ალ. არაზაშვილის** ხელმძღვანელობით.

ჯარისკაცები გარბოდენ იქ ტაიგებში, სოპკებში და აჯანყებულ გლეხებს უერთდებოდენ, ან-და ბანდებს აგენდენ და სძარცვავდენ სოფლებს.

ყოველ ნახევარ საათში ტელეგრაფისტი რეკდა აპარატში და მოსაწყენი ხმით ეკითხებოდა.

— როდის დაგვეხმარებით?.. პური არ არის... არც იარაღია...

მაგრამ აპარატი ხროტინობდა, ხავოდა და პასუხს არავინ იძლეოდა.

ტელეგრაფისტს თავზე რევოლვერ მომარჯვებული ყაზახი ადგა, რომ ზედმეტი არ ელაპარაკა.

სადგურზე დაწანწალობდა ქალაქ ომსკიდან გამოქცეული ბურჟუაზია, რომელმაც ეშალონებზე გაყოლა ვერ მოახერხა: ბრილიანტის საყურეებიანი მსუქანი დედაკაცები, ვერცხლის ეჟვნებივით წკრიალა ქალიშვილები, ბავშები და ღიპიანი მამაკაცები.

ჯარისკაცები თითო სახარინში ყიდულობდენ მსუქან ქალების სიყვარულს და იქვე სადგურის გვერდით წვებოდენ მოურიდებლად.

ყაზახები საიდანღაც თამბაქოზე დაყენებულ არაყს შოულობდენ, სვამდენ, მსუქან ქალებს სჩქმეტდენ, ღიპიან მამაკაცებს თითით მუცლის სიმკვრივეს უზრდელად უსინჯავდენ, მერე გალეშილნი მუხლამდე ნაგავში მიეყრებოდენ, ხელებს ჰაერში უმიზნოდ ასავსავებდენ და დედას აგინებდენ: თვითმპყრობელ იმპერატორს, ოფიცრებს, კოლჩაკს, პაგონებს იგლეჯდენ და ფეხით თელავდენ.

შტაბს-კაპიტანმა სცადა წესიერების აღდგენა: ამისათვის საჭირო შეიქნა რამდენიმე კაცის დახვრეტა, თერთმეტი ყაზახი დახვრიტა. მაგრამ წესიერების აღდგენა არ მოხერხდა. თავი მიანება და თითონაც ლოთობა დაიწყო.

და აი: რვა დღეა, რაც შტაბს-კაპიტან ბონდარჩუკის საატამანო რაზმი დგას აქ სადგურში საომარ წესებში, ელის განკარგულებას და არ მოდის. არის იგი სათვალავში გამორჩენილივით, მიტოვებული და უპატრონო.

ტელეგრაფისტი რეკს ყოველ ნახევარ საათში და მოსაწყენი ხმით ეკითხება:

— ველით განკარგულებას... პური არ არის... არც იარაღია...

აპარატი ხროტინობს, ხავის და პასუხს არავინ იძლევა.

ირგვლივ არის მოწყენილობა და ამ მოწყენილობაში ამართულია რკინისგზის წყლის საქაჩავი ოწინარი. ოწინარზე აღრჩობდენ პარტიზანებს და ახლა ჰკიდია ხორც ჩამოხეული ჩონჩხები და ზედ შემჯდარი მოფუყული ყვავები ჩხავიან, თვალებს ლულავენ და ფეხებს იკიკნიან.

ასე მიდიოდა ეს დღეები და შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი მოწყენილობისაგან თავის ცოლს ქამრით სცემდა და პორუჩკ ჟერდოვს ემუსაიფებოდა ცხოვრების ამოაებაზე, სლავიანთა დიდ მისიაზე ქრისტიანობაში და სოლომონ მეფისა და სულამითის ჭაბუკურ სიყვარულზე.

და ასე ღამეები იხურებოდა მწვირიანი, უსინათლო, ყოუ და ერთ ასეთ ღამეში სადგურის დარბაზში გაისმა ქალის შემზარავი წივილი, გაჩნდა ჩოჩქოლი, გამოღვიძებულ ბავშის ჯღავილი და მერე მიწყნარდა ყოველივე.

მეორე დილით სადგურის დარბაზიდან დანით მოკლული ტიტველი ქალი გამოიტანეს, მუცელზე და ძუძუებზე ათაშაგის სპილენძისფერი კაკლები ჰქონდა მიყრილი, იქვე სადგურით გვერდით გაათრიეს და დააგდეს.

სამი დღე ეგდო ჭკვდარი დედაკაცი ცხენის ლეშივით, რუმბივით გასივდა, თმები ბინძურ ჩვრებივით ეყარა მიწაზე და დაიარავებულ მუცელზე ზუზუნით ესეოდენ მწვანე გვამის ბუზები.

სამი დღე ეგდო იგი უწმინდურად მოწმენდილ ცის ქვეშ და არავის თავში ფიქრადაც არ მოსვლია მიწა მიეყარა ან რაიმე წაეფარებინა.

ყველა შეპყრობილი იყო უნიათო გულგრილობით, თავი არავის ჰქონდა.

ისევ ჩინელმა ჩეუ-პე-იმ იშოვა სადღაც ძველი დაქექილი ჭილოფი და წააფარა.

სადგურს უკან ხალხს ხვრეტდენ, ეყარა მიწამიუყრელი დახვრეტილები ჩავარდნილი თვალებით, ჩამოძონძილ დამპალი ხორცით და მთელი დღე და ღამე ყაყანობდენ ყვავები, იღრინებოდენ ძაღლები, კნაოდენ კატები და ღამით ღმუოდენ მგლები.

სადგური იღრჩობოდა ლეშის სიმყრალეში, მაგრამ თავს არავინ იწუხებდა: სულერთი იყო, დღეს თუ არა ხვალ, მაინც უნდა მიეტოვებინათ ეს წყეული სადგური, დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში და ეცხოვრათ.

ღვთის შეწევნით, სუფთად, ადამიანურად, ეძინათ თეთრ ზეწარ გადაფარებულ ლოგინში და სადგურის ეს რუხი შენობა დარჩებოდა უკან, მოგონებებში, როგორც ავი სიზმარი.

რვა დღე და ღამეა, რაც ისინი დგანან.

არ არის გზა... არც იქით, არც აქეთ.

რვა დღეა, რაც სადგური მოკვდა და არ გამოუვლია არც ერთ ეშელონს, არც ერთ ორთქლმავალს ჩეხებით, იაპონელებით, ლტოლვილებით, დეზერტირებით.

რვა დღეა, რაც ისინი მოსწყდენ ქვეყანას და დარჩენ მიტოვებულნი ღვთის ანაბარად.

ამბობდენ: პარტიზანთა წითელი რაზმები სულ ახლოს იყვნენ მოსულნი.

ხანდახან იქ: დაბურულ ტაიგაში, სოპკებში გაისმოდა სროლის ხმა, ღამით გამოჩნდებოდა დანთებული ცეცხლი და მერე: სიწყნარე, შიში, სიბნელე და მუქარა აჯანყებულ გლეხთა პარტიზანულ წითელ რაზმების.

რვა დღე და ღამე ტანთ არ გაუხდიათ, ადამიანურად არ მოუსვენიათ და ჯარისკაცის ხელები ბოთლის საცობებივით იყო გაშეშებული, დახეთქილი და დაკრუნჩხული.

თვალებში იყო: უანგარიშობა, უიმედობა და სულში ტკივილით: გრძნობა, რომ ზედმეტი ხარ, რომ ხარ უსაჭიროო და გამოუსადეგარი.

გაუხდელობისაგან ფეხები დალპა ჩექმებში, გამწარდენ ტილები. პარტახტიანი სახადი არ ინდობდა დიდსა და პატარას, გაჩნდა სურავანდი და ხალხი წიწილებივით იხოცებოდა, მაგრამ ეს არაფერი იყო... შეეჩვივნენ...

ჭილობში გახვეული მოხუცი ინვალიდი ეგდო შარდით აშმორებულ სადგურის თეთრი ქვის კიბესთან, ძიგძიგებდა, ბღაოდა ძროხასავით, შეშლილი თვალები ციებიანივით ანთებოდა, იგინებოდა და დაბადების დღეს იწყევლიდა.

დაჭრილ-დასახიჩრებულნი ეყარნენ განგრენით წაჭმული ხელ-ფეხით და ჩირქად იღვრებოდენ. ვიღაც მთვრალი ჯარისკაცი იდგა შუა პერონზე აყოით გალეშილი, თავს კისერზე მოწყვეტით აქანავებდა, შარდზე მოურიდებლად გადიოდა, სტიროდა და იძახოდა თვალგადაბრეცილი:

— რა მინდა მე აქ?.. რა მინდა?.. ოჯახი მაქვს... ცოლი მყავს... შვილი მყავს... ჩემ ცოლს ნასტია ქვია... თეძოგანიერი, გავამსხვილი... ჩემი შვილი... ის ისე რბილია, ისე თოთო, იმისი... მას პატარა რძის კბილები ამოსჭრა და ხელები მუდამ პირში აქვს, იმ მამაძაღლს. და თვითონ რბილია, ჩჩვილი და ვარდისფერი... რა მინდა მე აქ რა?.. რატომ ვარ მე აქ. მე სახლში მინდა... მე ცოლი მყავს, შვილი. — ბღაოდა იგი თავს იქნევდა, იგინებოდა უწმაწურად და ტირილი დაიწყო. შარვალ შეუკვრელი იქვე დაღვრილ საკუთარ შარდში ჩაჯდა და ზლუქუნობდა, ზმუოდა. მერე ცრემლითა და ჭუჭყით დასვრილი სახე ამართა და უეცრად თავაღებულად. ლაღად. უზრუნველად დასძახა ჩახლეწილი ხმით:

Салавей, салаве-ей, птаа-шечка-аа!..
Канарее — ючка!..

მზესუმზირას კაკლივით თვალებ გაწვრილებული ჩინელი ჩეუ-პე-ი იჯდა გადაბურუნებული ორთქლმავალის ბუფერზე და ოცნებობდა ბუდდას მესამესეჯერ მობრუნებაზე, მშიერი კუჭი გულის კოვზთან სწოვდა და ნატრობდა შემწვარ კობრსა და ბრინჯის წვენს.

შორს სადგურის გადალმა ტაიგებთან მოსჩანდა ჩეხების, იაპონელების და საატამანო რაზმების მიერ გადამწვარი სოფელი შავად.

ისმოდა იქიდან დამშეულ ძაღლების ღმუილი და დამწვარ სახლის თავებზე ავარდნილ კატების კნავილი.

შტაბს-კაპიტანი ბონდარჩუკი იდგა ფანჯარასთან წკვარამი, კუშტი და ულვაშებზე ხელს ისვამდა, ხელები მისი იყო ხესავით, ულვაშები ლორის ჯაგარივით და სახე ჯარისკაცის გამხმარ ბინძურ ფეხსახვევივით მშრალი და დაჭმუჭვნილი.

მიმინოსავით კეხიან ცხვირს ზემოდ იხედებოდა შავი ნაღვლიანი თვალები, უცქეროდა ჩინელ ჩეუ-პე-ის და ფიქრობდა.

— „ნუ გახვალთ, ბატონო!.. სახლში დაბრუნდით!..

რაღაც მოხვდა ელდასავით, თითქოს მოაგონდა: ფერმა გადაჰკრა.

ფანჯარაზე გადმოეყუდა, და ყაზახს დაუძახა.

— მომგვარეთ აქ ის ჩინელი!..

ჩინელი დააპატიმრეს.

აკანკალებული მიიყვანეს შტაბს-კაპიტანის ფანჯარასთან.

— არ გაჩუმდები, შე ყუბაქო, შენა!.. მთელი დღე რომ ბუფერზე გდიხარ და სული შეაწუხე შენი ღვთის მგმობი ლექსებით!..



რემედასის კუთხე ტფილისის სასაკლაოზე, დარჩენილი 1924 წ.

ჩინელს შიშით ენა დაებნა და ბუტბუტებდა რაღაც გაუგებარს თავის ენაზე და რუსულს ამტვრევდა.

— ოცდაათი როზგი მაგას, აქვე ჩემ თვალწინ!.. მე შენ გაჩვენებ როგორ უნდა სახლში დაბრუნება! — სთქვა კაპიტანმა.

ყაზახებმა ჩინელი წამოაქციეს, ჩახადეს შარვალი და იგი იწვა ბავშვივით მორჩილი და ელოდა როზგებს.

ყაზახებმა დაჭკრეს ათი როზგი და ჩინელმა მხოლოდ ერთხელ დაიგმინა, ბონდარჩუკს რატომღაც მოაგონდა თავისი რვა თვის შვილი, რომელიც დეზინტერიით მოკვდა ურალზე და დაიღრიალა:

— კმარა!.. დანარჩენი მიპატიებია!..

ჩინელი წამოდგა, წელი ძლივს აითრია, კიკინა უკან გადიგდო, თვალები უცნაურად აახამხამა, ხმის ამოუღებლად თაყვანი სცა კაპტანს და მერე ნაცემ ძაღლივით წალასლასდა რკინიგზის ლიანდაგს გადაღმა, ფეხები რელსებზე ძლივს გადიტანა და შარვალი შეიკრა. ზურგით წოლა არ შეეძლო, ნაცემი სტკიოდა და გულაყუჩებულმა ბავშვივით დაიწყო ტირილი

შტაბს-კაპიტანი იდგა ფანჯარასთან და შეებრალა ახალგაზრდა მეოცნებე ჩინელი ჩეუ-პე-ი, რომელსაც ისე უყვარდა პოეტ ლი-ბოს ლექსები.

შტაბს-კაპიტანის ოთახში აყრილ სახაზინო სიქადარტყმულ ლოგინზე ეგდო მისი არაყით დამთვრალი ცოლი, ყვიროდა, კაპასობდა და ლანძღავდა კაპიტანს, თავის დაბადების დღეს და იმ საათს, როცა ის კაპიტანს შეეყარა.

შტაბს-კაპიტანი მობრუნდა.

სთქვა მუდარითა და ოდნავი საყვედურით:

— ოქსანა ნიკოლაევნა, კმარა ახლა, გეყოფა, ოქსანა ნიკოლაევნა...

ქალი მაინც არ სცხრებოდა, ილანძღებოდა, იგინებოდა უწმაწურად, ქალისათვის შეუფერებლად.

— ოქსანა ნიკოლაევნა, ოქსანა ნკოლაევნა!.. — წამოიძახა მან კიდევ უფრო მეტი საყვედურით, — გეყოფა ახლა, ხომ ხედავ, არ შემიძლია ამდენი, შემხედე რას დავემსგავსე, ადამიანის სახე არ მადევს... — ამბობდა იგი ბავშვივით მორჩილი, და უცნაური იყო ეს ბავშური მორჩილება მისგან, რომელიც ამ ორი წუთის წინ ასე სასტიკად მოეპყრო საცოდავ ჩინელ ჩეუ-პე-ის, რომელსაც ქვეყანას ერჩია ქრთი მოხარშული კობრითა და ბრინჯის წვენით გაძღომა და მერე მწვანე უშაქრო ჩაის დაყოლება.

ოთახში იდგა ტყაპუჭების, არაყისა და ქალის ბინძური სუნი.

და როცა ქალის გაჩუმებას საშველი არ დაადგა, შტაბს კაპიტანი უეცრად შემობრუნდა. წარბები რისხვით შეიკრა და კუშტი, გულჩახვეული ხმით შეეკითხა:

— გესმის, ოქსანუშკა, გაჩუმდი მეთქი. თორემ ხომ ნახე რა უქენი იმ ჩინელს!.. გეყოფა ახლა!..

ოქსანა გაჩუმდა, ხმა არ ამოუღია ისე წამოდგა, ტახტზე გაიმართა, დოინჯი შემოიყარა, გაწეწილი ბინძური თმები დასცვივდა მკერდზე და სისხლიანი ამღვრეული თვალები ქმარს შეანათა.

— რო-გორ?.. — წამოიძახა მან ნიშნის მოგებით და ქმარს უტიფრად ჩააცქერდა. — რო-გორ?!. მე გავჩუმდე, ბატონო კაპიტანო, მე გავჩუმდე?.. შენ თვითონ გაჩუმდი, თუ კარგია... მე მეყოფა?!. მე კი არა თქვენ გეყოფათ, თქვე სისხლის მსმელებო!.. შენ დახვრიტე ჩემი უმცროსი ძმა... ის სტუდენტი იყო, ფილოლოგი!.. ჩემი შვილის სიკვდილიც შენი ბრალია... შენ დაძრწოდი ტყეებში!.. მე რძე არ მქონდა და ახლა მე გავჩუმდე, არა?!. სადაა ჩემი მამა, ინფანტერიის გენერალი, სადაა ჩემი უფროსი ძმა შენ აიყოლიე ისინი, თქვენი ბრალია ყველაფერი და ახლა მე გავჩუმდე?.. თქვენ არ ათავებთ და მე კი ჩუმად უნდა ვიყო!.. მე არ შემიძლია ჩუმად ვიყო, როცა მე მომიკვდა შვილი, როცა მე დამეღუპა მამა და ძმები, როცა დედა ჩემმა ვერ აიტანა ამდენი უბედურება და თავი მოიკლა.

ქალი თანდათან კაპასდებოდა და ახლა უკვე ჰკიოდა.

— მე ასე არ შემიძლია, ბატონო კაპიტანო!.. მე ასე ძაღლივით, ტუნგუსივით ვერ ვიცხოვრებ!.. მე ცარსკოე სელოში მინდა!.. მე კუბელიკისა და ჰოფმანის კონცერტები მინდა, მე რახმანინოვი მწყურია და ყოველ დილით კბილებს რომ ვიხეხავდე... და თქვენ კი არ ათავებთ... თქვენ არ გინდათ გაათავოთ... თქვენ ასე გინდათ რომ იწანწალოთ თქვენი სიცოცხლე და მეც მაწანწალოთ... მე ასე არ შემიძლია, არ შემიძლია ჩუმად ვიყო... მე ძლიერ ბევრი გადავიტანე თქვენთან... კმარა მოთმინება!.. მე მეტი არ გავჩუმდები!.. მე ვარ და არ გავჩუმდები!.. გესმის, ბატონო შტაბს-კაპიტანო ბონდარჩუკ!.. არ გავჩუმდები, არ გავჩუმდები და არა!.. ბონდარჩუკ!.. ბონდარ... გესმის, შე ჯოჯოხეთის მაშხალავ, შე ჯალათო, შენა!.. შენი სახელით გლეხები ბავშებს აჩუმებენ!.. შე საფრთხობელავ, შენა!.. და მე გავჩუმდე!!. ბონდარჩუკ!.. ბონდარ!.. პოინტერ!.. განა ეს კაცის სახელია!.. შენ შენი სახელიც კი დაჭკარგე ბრწყინვალე ერისთავთ შთამომავალო თავადო ბარამანდიავ!.. ბონდარ!.. პოინტერ!.. ძაღლო!.. ძაღლო!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. — ხარხარებდა დოინჯშემოყრილი ქალი, ქმარს ცინიკურად, აგდებით უცქეროდა, სიცილით თავი ვერ შეიკავა, არაყი მთლად მოერია, დატორტმანდა, კედელს თავით მიეყრდნო და რატომღაც კედელს ლოკვა დაიწყო.

კაპიტანმა იფიქრა:

— ნამდვილი ძროხა, ნამდვილი პირუტყვი!..

შეეზარა თავისი თავი, რომ ასეთ ქალს შესწირა თავისი ყმაწვილკაცობა.

(დასასრული იქნება)

წერილები ადგილებიდან

უჯრედი იშლება

(წერილი ქუთაისიდან).

ქ. ქუთაისის სტამბა ელსადგურის ახ. ლ. კ. კ. უჯრედთან 1925 წ. არსებობდა რემედას-ავიაქიმის უჯრედი, რომლის წევრად ითვლებოდა უჯრედის წევრთა სრული შემადგენლობა. უჯრედი ნაყოფიერად მუშაობდა და წევრებიც უდიდესი ხალისით ეკიდებოდენ რემედასის ყოველგვარ სამუშაოებს.

დროზე იხდიდენ საწევრო გადასახადებს, იწვევდენ კრებებს უპარტიო ახალგაზრდობასთან ერთად ყოველ ორ-კვირაში ერთხელ, სადაც წამოყენებული იყო სხვადასხვა საკითხები რემედასის საინტერესო თემებზე.

ამრიგად აღნიშნული უჯრედი ქუთაისის მასშტაბით ერთ-ერთ უძლიერეს უჯრედათ ითვლებოდა. სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მდგომარეობა შეიცვალა და უკვე 6 თვეა, რაც უჯრედი დაშლის პროცესში ჩადგა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი კრებაც არ მოწვეულა, წევრთა შემადგენლობა სრულიად დაიქსაქსა. ასეთ უნუგეშო მდგომარეობაშია დღეს ის უჯრედი, რომელიც ოდესღაც ერთ-ერთ საუკეთესო უჯრედად ითვლებოდა მთელს ქუთაისში.

ჩვენ ამ გარემოებას მივაქცევთ რემედასის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ყურადღებას და მოვითხოვთ, რათა უჯრედი ისევ აღდგენილი და გმოცოცხლებული იქნეს.

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი მოთხოვნა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ივანე ბუხაიძე.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(ქ. სოხუმი, 9 წლედი).

ქალ. სოხუმის, ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქართულ 9 წლიანი შრომის სკოლაში რემედასის ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1927 წელს უჯრედის საქმიანობას ხელმძღვანელობს 7 წევრისაგან შემდგარი ბიურო.

ბიუროს სწევრთა შორის გეგმიანად განაწილებულია სამუშაო. გამოყოფილია ბეჭდვითი სიტყვის რწმუნებული, ქალთა შორის მომუშავე, აგიტპროპი, სპეციალურად გამოყოფილია კომისია რემედასის ორგანიზაციის რიცხობრივ ზრდის მოსაწესრიგებლად და ლიტერატურის გასავრცელებლად მშრომელთა მასაში.

თუ კი გასულ წლებში მოწაფეთა რაოდენობა ძლიერ მცირე იყო, რემედასის ორგანიზაციაში უკანასკნელ ხანებში ეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. დღეს რემედასის ორგანიზაციაში ჩაბმულია მოწაფეთა მთელი 100 პროცენტი. ამასთანავე ერთად რემედასში ჩაბმულია კომკავშირელთა თითქმის მთელი შემადგენლობა, რომელიც აქტიურად მოღვაწეობს და ხელს უწყობს რემედასის მუშაობას. ეწყობა კრებები, სადაც ისმება საერთაშორისო მდგომარეობისა და რემედასის მიმდინარე ამოცანების ირგვლივ სხვადასხვა სახის საკითხები.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჟურნ. რემედასის გავრცელებას, როგორც სკოლის ფარგლებში, ისე წევრთა შორის. ამ უკანასკნელ ხანებში გამოცემულ იქნა რემედასის კედლის გაზეთი, სადაც თვალსაჩინოდ გაშუქებულია რემედასის საჭირბოროტო საკითხები ჩვენი ცხრაწლედის ფარგლებში.

რემედასის ბიურომ მოაწყო ფასიანი საღამო-წარმოდგენა რემედასის ფონდის გასაძლიერებლად. უნდა აღინიშნოს, რომ კარგად იქნა ჩატარებული აგრეთვე რემედასის კვირეული, რომლის დროს შეკრებილი თანხა მთლიანად გადაეცა აფხაზეთის საოლქო კომიტეტს. აღსანიშნა-

რემედასის კუთხე ქ. ტფილისის 1-ლ საავადმყოფოში, დაარსებული ამხ. **ალ. არაზაშვილის** მიერ 1924 წ.

ახლო წარსულში ბუჰენოს-ჰაირესში ჩატარებული არგენტინის კომპარტიის მე-VIII-ე კონგრესის დელეგატები.

ვია ამავე დროს ის გარემოებაც, რომ რემედასის წევრები საწევრო გადასახადს ერთი წლით ადრე იხდიან. უჯრედში რემედასის მეგობართა სახით ჩაბმულნი არიან პიონერებიც.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი

იშვიათი მუშაკი

(ზუგდიდის მაზრა).

გასულ წლებში, რემედასის ზუგდიდის სამაზრო კონფერენციაზე რემედასის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნა ამხ. რ ა ჟ დ ე ნ გ ა ხ ა რ ი ა. ამხ. გახარია მისი არჩევის პირველ დღიდანვე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რემედასის მოღვაწეობაში. ამხ. გახარიას თავისი პირად სამსახურის საქმეების გამო ხშირად უხდება მაზრის სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობა, რომლის დროსაც ის არ ივიწყებს რემედასსაც. ის ყველგან ხელს უწყობს რემედასის ორგანიზაციების განმტკიცება-გამაგრებას.

ამხ. გახარია არის რემედასის ერთ-ერთი დაუღალავი მოღვაწე მაზრის მასშტაბით. უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ რემედასის კვირეულის დროს ის მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა თემებში.

კარგი იქნება როგორც თვით მაზრაში, ისე ადგილებზე მომუშავე ამხანაგები მიბაძავდენ ამხ. გახარიას მაგალითს და რემედასის მუშაობას დააყენებდენ სასურველ დონეზე. დროა შეიგნონ ზოგიერთმა ამხანაგებმა, რომ რემედასი არის ერთად-ერთი ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც მოღვაწეობს მთელი ქვეყნის მასშტაბით და მისდამი უყურადღებობა არავის არ ეპატიება.

ნ. წაქვინჯელი.

გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს, როგორც საორგანიზაციო ისე საზოგადოებრივი მუშაობის დარგში. მაგრამ უნდა აღინიშნოს რომ ყველა მიღწევებთან ერთად რემედასის უჯრედს აქვს ნაკლიც. ეს ნაკლი გამოიხატება იმაში რომ უჯრედის ბიურომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა რემედასის კურსების მოწყობა. უჯრედს ჯერ კიდევ ვერ მოუნახია ისეთი თავშესაფარი, სადაც შეიძლებოდეს ამისი. მოგვარება. ბიუროს ამჟამად მუშაობა უხდება პატარა ოთახში, სადაც მოკალათებულია 7 სხვადასხვა ორგანიზაცია, რაიც მეტად აფერხებს რემედასის ორგანიზაციის გეგმიან მუშაობას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც რომ 9-წლედის მასწავლებლობა საერთოდ მეტად გულცივად ეპყრობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას. საჭიროა სკოლის გამგემ იზრუნოს და ნებაყოფლობითი მასიურ ორგანიზაციების მუშაობაში ჩააბას მასწავლებლობა.

პედაგოგიურმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს რემედასის მუშაობის გაუმჯობესებას სკოლის ფარგლებში.

გრიშა რუსია.



მეჟრაბპომის მიერ შეგროვილი სურსათ-სანოვაგე ბრემენის გემთსაშენის გაფიცულ მუშებისათვის.

პოლიტ-პატიმართა წერილები

რემედასის საქ. ორგანიზაციების იმ უჯრედებს, რომლებსაც შეფობა აქვთ აღებული სამხრეთ სლავიის საპატიმრო-ზაგრებაში მოქცეულ პოლიტ-პატიმრებზე.

ძვირფასო ამხანაგებო!

მივიღეთ თქვენი წერილი, რომელმაც უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია, იმიტომ, რომ ეს არის ერთსულოვნების გამომსახველი წერილი. უწინარეს ყოვლისა ჩვენ გიცხადებთ ულრმეს მადლობას, ასეულ დევნილ და დაპატიმრებულ ამხანაგების სახელით, თქვენს მიერ აღმოჩენილ დახმარებისათვის. ჩვენ მეტს არ გავაგრძელებთ, ეხლა საჭიროა ავამეტყველოთ თვით ფაქტები.

ქალაქ ზაგრებამ, რომლის მცხოვრებთა რაოდენობა 13.000 აო აღემატება 1928 წლ. იანვრის პირველიდან სექტემბრის 30-მდე ე. ი. 9 თვის განმავლობაში გაიღო შემდეგი მსხვერპლი: 21 ივლისის დემონსტრაციის დროს მოკლულია 3 კაცი, მძიმედ დაიჭრა 8, მსუბუქად — 220, 5 მიესაჯა ერთი წლით და 11თვის ვადით ციხეში დაპატიმრება თითეულს, ადმინისტრატიული წესით გასამართლებულია 152, გადასახლებულია 41, მათ შორის 15-ს მისჯილი აქვს 16 წელი და 8 დღის ვადით ციხეში დაპატიმრება. ამ ხნის განმავლობაში ჩატარებულია 1000 გაჩხრეკა. 30 სექტემბრისათვის საპატიმროში დარჩა 22 კაცი, პოლიციის განკარგულებაში კი 6, სულ 9 თვის განმავლობაში პოლიტიკურ დევნილთა რაოდენობა მარტო ქალაქ ზაგრებაში 321 უდრის.

ცხადია ეს სტატისტიკა ვერ იძლევა რეაქციის მიერ წარმოებულ დევნის მთლიან სურათს, ვინაიდან აქ აღნიშნულია მხოლოდ ყველასათვის ცნობილი შემთხვევები. ბევრი ჯერ კიდევ არ არის აღრიცხვაში გატარებული.

ჩვენ ეხლა ვდგევართ რამდენიმე პროცესის მოსმენის წინაშე: ამრიგად ნოემბრის 6-ს დაიწყება ამხ. იოსებ ბროზას და მისი 5 ამხანაგის პროცესის მოსმენა, ყველა ამათ ბრალს სდებენ სახელმწიფოს მშვიდობიანობის წინააღმდეგ გალაშქრებაში (ეს კანონ-პროექტი დამტკიცებული იყო 1921 წ. და ის მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომელიც რემედასის ორგანიზაციებსაც კი უშლის ლეგალურ მუშაობის წარმოებას). ნოემბრის 16-ს ამავე კანონის ძალით დაიწყება ამხ. მათე მატოკას პროცესის მოსმენა, ამასვე მოჰყვება ახალგაზრდა კორენასა და კრულიჩას პროცესი. ამ უკანასკნელთ ბრალი ედებათ ახალგაზრდათა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ამის შემდეგ მიჰყვება პროცესი მუშათა და საგლეხო გაზეთ „ბრძოლა"-ს რედაქტორის ამხ. ბლაჟო ვალინის პროცესი, ამავე დროს მზადდება ახალგაზრდათა უდიდესი პროცესი, რომელშიაც უსათუოდ მოხსენებული უნდა იყოს ამხ. ვილმ ხორვეი, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე განთავისუფლდა პოჟაროვაცკის საპატიმროში 3 წლის განმავლობაში პატიმრობისაგან. ის ეხლახან დააპატიმრა ზაგრებას პოლიციამ და ისე მძიმედ სცემეს, რომ ექიმები იძულებული გახდენ აღენიშნათ მისი ჯანმრთელობის საგრძნობლად შერყევა. ამრიგად სწარმოებს დაუსრულებელი დევნა, მაგრამ ეს დევნა ოდნავადაც ვერ აფერხებს ჩვენს მიერ წარმოებულ ბრძოლას, პირიქით ჩვენ ვმაგრდებით და თქვენი დახმარება უფრო გვამხნევებს ამ საბედისწერო ბრძოლაში.

გვიშველეთ... მოგვხედეთ...

გაუმარჯოს მუშათა კლასის ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

გაუმარჯოს რუს რევოლიუციონურ პროლეტარიატს.

ამხანაგებო — გვწერთ ხშირ-ხშირად.

ამხანაგური სალამით რემედასის

ზაგრებას: **ადგილკომი.**

ზაგრება, 1928 წლის ოქტომბრის ბოლო.

რემედასის ხ. ც. კ. გამომცემლობა. რედაქტორი: **სარ. კოლეგია.**

ტფილისი, ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ-ტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91. მთავლიტი № 273. შეკვ. № 584. ტირაჟი 5.000.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი კომინტერნის ქ. № 5. II-ი სართ.

მიიღება ხელის მოწერა

რემედას-ზე

ჟურნალ

ჟურნალ

რემედას

გამოვა

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით		20 კ.
3 თვით		60 „
6 თვით	1 მ.	15 „
9 თვით	1 „	70 „
1 წლით	2 „	20 „

12 ნომერი